

რედაქცია

მოდინის (აბას-ბაბის) მედანზე, შორღანოვის სახლებში.

ხელის-მღწერა

რედაქციაში და სტ. მედიკინის სტამბაში. შალაქს ვარუშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисе. Въ редакцію газеты „Дრობა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

შილდა ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანკულს ენებზე.

განცხადების ფასი

ღიდი ასობით, ასობე — 1 კაპ., ასო-მოაგრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცილოთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოცხადებულ სტატიებსა და დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

სამართველო

ჩვენებური მადნის წყლები

შეზოდგომა დადგა. მაგრილებულმა ჰაეამ მობერა ჩვენს ქვეყანას და მადნის წყლებზე და სოფლებში გაფანტულ ქალაქის შეძლებულ ხალხს თვლილი სახლები და აუშფოთებულნი ცხოვრება მოაგონა. ნელ-ნელა ბრუნდებიან აბასთუმნიდამ, ბორჯომიდან, პიატიგორსკიდან და სოფლებიდან ქალაქის სიციხისაგან განდევნილი ხალხი. როგორის შთაბეჭდილებით ბრუნდება ხალხი ამ მადნის წყლებიდან? ჰკითხეთ — რას ამბობენ აბას-თუმანზე, პიატიგორსკზე, შუჭრას მეფე წყლებზე? ბასაკირველია, რომ ყველასაგან თითქმის ერთსა და იმავე პასუხს მიიღებთ: — ჩინებული ადგილი და ჰევა, თქვენმა მშენებმა, აბას-თუმანში, ბორჯომს, შუჭრას! ძარგათ გავატარებ დროება. მაგრამ აბანოები კი მაგდენათ ვერ მომიხდა!.. და მომეტებული ნაწილი სრულიადაც აბანოებისთვის როდი მიდის ხოლმე ზაფხულობით მადნის წყლებზე: მიდიან მხოლოდ იმისთვის, რომ მხიარულად გაატარონ დროება და კარგს ჰაეასა და ბუნებაში იცხოვრონ. ზოგიერთი ექიმები იმასაც კი ამტკიცებენ, რომ მადნის წყლები საზოგადოთ არავითარ ავთამყოფობაში არ უხდება კაცსა, და თუ ზოგი ავთამყოფები რჩებიან, — ეს მხოლოდ

ამ ადგილების ჰაეას, ბუნებას და დამუშავებულ, რიგიან ცხოვრებას უნდა მიუწეროს. მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკის თაღი არა გვაქვს. საქმე იმაშია, რომ უხდება ეს მადნის წყლები კაცს, თუ არა — ხალხი ბლომათ მიდის იქ და ცხოვრებს. მაღიან შეძლებულები, რომელთაც ამ ადგილებში ბლომათ ფულის დატოვება შეუძლიან, რომელთაც „კეთილი ცხოვრება“ უყვართ. მაგრამ წაიკითხეთ თუნდა დღევანდელ ჩვენი გაზეთის ნომერში დაბეჭდილი კორრესპონდენცია პიატიგორსკიდან და დარწმუნდებით, რომ ჩვენ მადნის წყლებს, გამდიდრების მაგიერ, მიტოვება მოვიდის და იმ ორიოდ მომსვლელების ხილვაც მოაკლდებათ, რომელნიც ახლა დაიარებიან, თუ ამ წყლების გამგებლებმა უფრო რიგიანათ არ წაიყვანეს საქმე. სხვაგან მთელი ახალი ქალაქები ფუძნდება, რამდენიმე წლის განმავლობაში, მცხოვრებლები მდიდრდებიან, როდესაც სადმე მადნის წყალი ჩნდება; ასე ხდება იმიტომ რომ ადგილობრივი მცხოვრებლები ყოველის ღონის-ძიებით ცდილობენ, რომ მომსვლელი ხალხი და ავთამყოფები დაკმაყოფილონ და ყველაფერი, რაც კი იმათის საჭიროა, გამართონ, გაუტკონ იმათ აქ ცხოვრება. რამდენი შესანიშნავი მადნის წყალია ჩვენში: იმერეთში, ძახეთში, რაჭაში და სხვაგან და აბა თუ ამ მადნის წყლის სოფლისა ან ქალაქის მცხოვრებლებს დატყობიათ რამე სი-

კეთე? აბა თუ ამით მოსული ხალხისაგან რამე სარგებლობა უნახათ? ან რა სიკეთე უნდა ენახათ, როდესაც არაფერი არა აქვთ მოწყობილი, როდესაც ავთამყოფა ზოგან ღამე გასათვე ოთხსა და წიწილასაც ვერ პოულობს! რა სიკეთე უნდა ნახონ იმისთანა მადნეული წყლის პატრონებმა, როგორც ამას წინათ იყო „დროებაში“ აწერილი, რომ ერთს მადნის წყალს ძარტლში ხუთი პატრონი — სიცივილები ჰყავსო და ავთამყოფის მოსვლისათანავე ხუთი კაცი ხელებში ეცემო: არა მე მოხუცი აბანოს ფასი და არა მეო? ათასჯერ თქმულს ათას მეერთჯერაც ვიტყვი: ბუნებას ორის ხელით მოუნიჭებია ჩვენთვის ყოველ გვარი სიმდიდრე; გვეუბნება: განძირეთ ხელი და ისარგებლეთო! მაგრამ ჩვენ კი ხელები გულზე დაგვიკრებია და აუშფოთველად მოველით იმ დროს, როდესაც ამ ჩვენის სიმდიდრით რომელიმე ცხრა მთიდან გადმოტყარნილი უცხო ქვეყნელი ისარგებლებს... ს. მესხი

დღიური

ქართელებისათვის საინტერესო იქნება შეიტყონ დაწერილებითი ამბავი იმ არეულობისა, რომელიც ამტყდარა ბუროის მოსამზღვრე მსამალოს საქართველოში და რომელზედაც რამდენიმე სიტყვა ჩვენი გაზეთის წინანდელ ნომერში იყო. ჩვენ ვსთხოვეთ ერთ იქაურ სარწმუნო კაცს, ყველაფერი დაწერილებით შე-

გვატყობინოს, რაც მოხდება იქ და იმედი გვაქვს, რომ ამ ამბებს მალე ჩვენს მკითხველებს გაუზიარებთ. □ დღეა შემოდგომა და დაიწყება ყველა ჩვენებური მეცნიერი და უმეცნიერო საზოგადოებათა კრება და სხდომები. სხვათა შორის, ამ მოკლე ხანში ჩვენი ქალაქის გამგეობის სხდომები დაიწყება. შინატრით, რომ ეს წლებიანდელი სხდომები ჩვეულებრივად უფრო მომეტებული ნაყოფიერი იქმნენ... □ ძაქასიის ცენზურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეთ, როგორც ამბობენ, სტ. სოფ. დიმიტრი პეტრეს ძე შურცელაძე დაუნიშნაეთ. □ ახალციხიდან გვეწერენ, რომ იქაურ კათოლიკე ეკლესიასთან დიდი ხნით გამართული შკოლა ამ უკანასკნელ დროს ძალიან ცუდს მდგომარეობაში ჩავარდაო. მომეტებული ნაწილი შემოსავალი მოესპოო, ხეირიანი, მასწავლებლები აღარა ჰყავს და ბევრი ისეთი საგნები აკლია, რომელიც ყოველი შკოლისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენსო. ადგილობრივი ფრანგები, როგორც გვეწერენ, სხვათა შორის, იმიტომ უფრო ემდურებიან შკოლას, რომ ქართული ენის სწავლაზე ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმის გამგენიო. □ „შალაქის მოქალაქე“ გვატყობინებს, რომ ჩვენებური ენდრო წელს მაკარიანზე სამ მანეთად და ათ შაურად გაყიდულა. ეს ისეთი ცოტა

მწიგნობრობა

ჩვენი ძველი გმირები

„თამარ ბატონიშვილი“

ისტორიული რომანი პრ. რჩეულოვისა \*)

II

შალვა, ვიტყვი კიდევ, არ არის ჩვენი ძველი გამოჩენილი გმირი; ის არის მხოლოდ პორტრეტი ჩვენ ძველ უკეთესთა თავად-აზნაურთა, და შალვეს ისე ხშირად შეხვდებოდით ძველ საქართველოში, როგორც ეხლა ხშირათ შეხვდებით ჩვენში მ. პრისთერის რუსეთუმეებს ან შალვეებს. და თუ გუნებაში გავაცოცხლებთ შალვას, ამ ძველ ქართველობის უკეთეს წარმომავლენებს და ვაბასებთ იმას ჩვენ განათლებულ რუსეთუმეებთან, მე ვიცი, ისინი ერთმანეთში ვერაფერში

ვერ დათანხმდებიან. შესაძლებელი ქართველი ეტყვის შალვა: „შენ ბერს რას კვებულობ მაგ შენ თავის განწირვით? უნდა გახსოვდეს, რომ მხოლოდ თავისუფალ კაცს შეუძლიან თავის თავის სიყვარული, და თქვენებური თავის განწირვა და სხვისთვის სამსახური მხოლოდ უგუნურ, ყურმოჭრილ ყმის საკადრისია! ამაზე უპასუხებდა შალვა: „ჩემო ჩამომავლო, სუყველაფრით შეგიძლიან დიკვებო, მაგრამ თავისუფლებით და გონიერობით კი არა; შენ ხარ თითქმის იმნაირივე საცოდავი მსხვერპლი უმეცრებისა, როგორც მე ვიყავ; ჩვენი მხარე იმნაირათვე დარბია, როგორც ჩემ დროს იყო. მაგრამ ჩემი რაინდული ხასიათი შენ სამუდამოთ დაჰკარგე!“ მაშ რაში სჩანს ჩვენი წინწაწევა, ჩვენი განათლება, თუ ჩვენ ვერ გავაუკეთესეთ ჩვენი ცხოვრება, თუ ჩვენ ლატაკობას ვერ გამოვესალმეთ,

ვერ მოვიპოვეთ ცოდნა და არამთუ ვერ გავაკეთებთ მოზილეთ ჩვენი ხასიათი, არამედ დავფარდით ზნეობით? აღარ არის ჩვენში ძველებური სიყვარული სამშობლოსადმი, აღარ არის ჩვენში არც სიმბნევე, არც ძმობური მოქცევა ერთმანეთისა. აღარაფრისა არა გვემას, აღარაფერზე არ ვოცნებობთ; აღარაფერი, რაც ჩვენ სხეულს არ შეეხება, არ გვაზვრუნებს. ძველ ღმერთებს შეეფურთხებთ და ახალ ღმერთებთან გავხადეთ ჩვენი სხეული, ჩვენი ჯიბე. „მლონდ გამძლარი ვიყო, ოღონდ თბილათ ვიყო და სხვა არაფერი არ მინდა!“ „მლონდ მე ვიყო და ქვა ქვაზედაც ნუ იქნებო!“ შიქრობს ყოველ წამს ჩვენ დროინდელი ქართველი, ამას არას დროს არ ფიქრობდა შალვა, რადგანაც ის შეკავშირებული იყო საზოგადოებასთან, სანშობლოსთან; იმას ჰქონდა იმისთანა რწმუნებანი, გრძობანი, თავის სიყვარულის, აღტაცების, ოც-

ნების საგნები, ურომლებოთაც არაფრად არ მიანდა სიცოცხლე. მაგრამ ჩვენ წარსულ ცხოვრებაში მოიპოვებიან გმირები, რომლებიც შენ მოგეწონება ეხლანდელ ქართველო, რომლებიც შენ გეჩვენებიან ოსტატებათ, ძრიელ ჭკვიანებათ, ძრიელ ხერხიან დიდკაცებათ. აი ერთ იმათგანს როგორ აღწერს ავტორი: „მყოფი მეორე პირად საქართველოში შემდეგ ძმისა თვისისა ზაქარია ამირ-სპასალარისა, ივანე ათაბაგი მშურნელობით მხედამა მლიზბარს (შალვას მამას), კაცსა ჭკვიანსა, ვაქცასა, კარგად მაღაპარაკეს, განდგეილს ყავლის ბოროტის საქმისაგან, კეთილსა და მამარ დედოფლის საყვარულსა, შიშით, რომ მლიზბარი არ გახდეს ზაქარიას შემდეგ ამირ-სპასალარი, ივანე ათაბაგი არ უშვებდა არავითარსა კეთილს შემთხვეულებასა ვერც ერთ მლიზბარისთვის და ყოველი დეწლი მისი მტრებდნან უგონიერ განკარგულება რომლისავე საქმისა, გაეიციბა და დაემდაბლებინა მას.“ მაგრამ მამარ დედოფლის დროს ივანემ ვერაფერი ვერ უყო მლიზბარს.“

\*) „დროება“, № 101.

ფასი არის, რომ ენდროს მომყვანი ნახევარ ფასშია ვერ გამოვლენო. მოქალაქე მიაქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ენდროს წარმოებით თითქმის ორი უფლები იბრუნებს სულსაა—შუბანისა და ღარუბანდის, ამისგან უდგია ადგილობრივ მცხოვრებლებს სულია და თუ მთავრობამ ალიზარინი არ გააძვირა, ეს ხალხი სულ დაიღუპება.

□ ამ დღეებში ჩვენს ქალაქს ერთი იტალიელი მუზიკანტი უფ. ალფონს ბოლშტინი ესტუმრა, რომელიც აქ კონცერტის გამართას აპირებს. ამბობენ, დახლოვებული მუზიკანტი არისო. მამ მუზიკის მოყვარეებს ესტეტიკური დატკობა მოეწონება...

□ მრთს საზოგადოებას ამბავს გვწერენ მუთაისიდან:

„მუთაისიდან ექვს ვერსზედ სოფ. შ—თში წარსული თვის 27-ს ცხედარი მიჰქანებოდა დასამარხავათ სასაფლაოზედ. მაგრამ გზაზედ რამდენიმე კაცი დახვედრია, რომ ამ გზაზე არ გაგატარებინებთ ცხედარსაო, ეს ჩვენი მამულიაო. დაუსვენებიათ ჭირისუფლებს გზაზე ცხედარი და გაცეცხულან საჩივლელოთ; მაგრამ რადგან საჩივრით ვერა გადაუწყვეტიათ რა, ცხედარი ძალაობით გაუტარებიათ იმ მამულზედ; წინააღმდეგები წინ დახვედრიან, ცხედრისათვის თავი გაუწებებიათ, დაუწყვიტათ ერთმანეთში ხრლმით და კეტებით ცემა. ამ შეტაკებაში წინააღმდეგი მხარიდან ერთი მომკვდარა და რამდენიმე ძალზედ დაკადილან. მეორე მხარეზედ თუმცა არავინ მომკვდარა, მაგრამ რამდენიმე ძალიან დაკადილან და ცხედარი მაინც კიდევ იმ გზაზედვე გაუტარებია. ნუ თუ იქ მყოფს მღვდელს არ შეეძლო, რომ არც საჩივლელოდ გაეშვა და არც სისხლი დეველვრევიანებინა და ისე გვეტარებინათ ის ცხედარი იმ გზაზედ? ნუ თუ არ უნდა ამოვლო ორიოდ დასამშვიდებელი ხმა? მინ იცის, ორ-

ჯელ კარა, ას ჯერაც ამოიღო ხმა, მაგრამ, რადგანაც წინ-და-წინ თავის თავი საპატივცემოდ არ ჰქონია და ნახვებული იმათთვის, იმიტომ იმის ლაპარაკისთვის არაფერი პატივი არ დაუდევიათ და იმიტომ იმათ თავისი შეუსრულებიათ.“

ს. ც.

საბერძნეთსა და მსმალოს მმართველობას შუა ამ ქამად მოლაპარაკება არის იმის თაობაზე, რომ ძვეკასიიდან გადასახლებულს ჩერქეზებს მსმალო მესალიაში აძლევს დასახლებელ ალაგს.

საბერძნეთის მმართველობა ამაზე უკმაყოფილებას აცხადებს: ჩვენს სამზღვარზე ჩერქეზების დასახლებით ჩვენში აფაზაკობა გაჩნდებოდა და ამის გამო ითხოვს, რომ ჩერქეზები სხვაგან სადმე დასახლონ.

მაგრამ ხონთქარი არ დათანხმებულა; როგორც ამბობენ, ჩერქეზების მესალიაში დასახლებას ის პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს: ენიცობაა საბერძნეთთან უკმაყოფილება მომიხდეს, მესალიის სამზღვრებს ეს ჩერქეზები კარგათ გაამაგრებენო.

„დროების“ კორექტიონი

სოფ. საჯახო (ბურიაში), 30 აგვისტოს

ჩვენს სოფელში, როგორც მთელ ბურიაში წელს ერთობ ბევრი ავთმყოფები არიან ციებ-ციხლებით, მუცელათი და სხვა და სხვა ავთმყოფობით.

ჩვენდა სამწუხაროდ, ეს დიდი სოფელი მზურგეთიდან და მუთაისიდანაც მოზარებულთა და ამას ვერც დოქტორები უწყობენ ხელს და ვერც მათი ფერშლები. ამის გამო სოფელი მაშინვე მკითხავენ და სოფლის მაწანწალა ექიმებს მიმართავს, რომ მათ ასწავლონ რამე წამალი. იმათ თუმცა ავთმყოფის აგებულებაზედ და სნეულებაზედ იჩი არ იციან, მაგრამ, რაკი ფულს დაინახავენ,

მაშინვე თავის სხვა და სხვა შემზადებულ წამლებს მისცემენ, რომ ავთმყოფს ასევე ხოლმე; რა ენაღლებია იმათი წამალი ავთმყოფს როგორც მოუხდებია!

ქაცის აგებულება ისეთს მუშაობაშია, როგორც მიმართული საათისა: თუ ქაცს საათი მოეშალა, მაშინ ის გასამართავათ მესაათეს უნდა მიუტანოს, რომელმაც დაწვრილებით იცის საათის მაშინების შედგენილობა, და ადვილათ შეუძლიან შეიტყოს, რა აქვს საათს მოშლილი. მაგრამ თუ მოშლილი საათი მოსამართავად ისეთ ქაცს მიუტანეს, რომელსაც საათის მაშინის მომართულების არაფერი გაეგება, ის საათს უფრო წაახდენს და მოშლის. ამნაირათ არის ქაცის აგებულება: თუ ქაცს აგებულება მოეშალა და ამის გამო ავთ გახდა, ისეთმა ქაცმა უნდა შექამოს, რომელმაც სპეციალურათ იცოდეს ქაცის აგებულების შედგენილობა და იმისი ორგანების მდგომარეობა. ჩვენ მკითხავენ და სოფლის მაწანწალა ექიმებს არსად სასწავლებელში არ უსწავლიათ, იმათ ადამიანის აგებულებისა არა გაეგებთ რა და ამის გამო წამლობაც არ შეუძლიანთ.

როდესაც იმათი წამალი სააქოდგან ქაცს გაისტუმრებს, თავს იმით იმართლებენ, რომ იმის „სიკვდილი დეთის განგება იყოვე“ და საწყალი და ცრუმორწმუნეობაში ჩაეარდნილი ხალხიც ამას იჯერებს და ხელმეორედ, როდესაც ავთ გახდება ეინმე ან რამე უბედურება შეემთხვევა, ისევე იმათ მიმართავს ხოლმე.

წელს, აღდგომის კვირაში ერთი აქაური ქაცის შვილი სამწყემსოდა დაბრუნებულიყო წვიმით გაწუწული და ცეცხლთან გასაშრობად მისულიყო, პერანგი ცეცხლზე გადაუფარა; ცეცხლი მოკადებოდა მთელ სხეულზე. დამწვარი სხეული გამიზნებოდა ემაწვილს. შმაწვილის მშობლებმა ერთი იმისთანა სოფლის ექიმთან მიმართეს. ამას ეთქვა:

„შენ დაუღუპავხარ ერთ შვიან

ქალს; იმას ჩაუგდაა შენი ემაწვილი ცეცხლშია და თუ გინდა, შეიტყოს ი: შვიანე ქალი ექიმ ქრეს, მე გასწავლი, როგორ უნდა მოიქცეო: წადი ეკკლესიაზე და გადაეცი ხალხში ასე, რომ ღმერთო და ბედო, ვინც ჩემი ემაწვილი ცეცხლში ჩამიგდო, იმას ბერის ხნის სიცოცხლის ნუ მისცემო.“ მერე უნდა დაბრუნებულიყო სახლში კარებზე მბაღლის ჯოხი დაესო, და ეინც ამ ჯოხს ხელს მოკრდებოდა, ის იქნება უთუოდ შენი ემაწვილის ცეცხლში ჩამგდებოდა.

ქაცი წასულა ეკკლესიაზე, მაგრამ ექვს და ფქრებს შეუპყრია: გადაეცემატზე, ვაი თუ მე მიწიოს, არა და—რა ექნა—შვილი მიკვდებოდა. ბოლოს გადასწყვიტა თავის გულში, რომ არაფერს არ ეიზამო, თუ მორჩება, მორჩება, თუ არა და როგორც ღმერთს სურს, ისე იქნებოდა. ეს ამბავები თავის ცოლისთვის არ გაემხილა ამ ქაცს, თორემ ცოლი ყველას შეასრულებინებდა.

მაგრამ ემაწვილი თავისით მორჩა. ამისთანა ცხოვრებაში აგდებენ ჩვენ ხალხს ეს მარჩიელები. ჩვენი ხალხი დოქტორს და ფერშალს ისე არ ენდობა, როგორც ცრუ მოწანწალა ექიმს. N

რუსეთი

„მმართველობის მოამბეში“ გამოცხადებულია შმალღესი ბრძანება, რომლის ძალითაც სტატს-სეკრეტარი ბარონი ნიკოლაი სახელმწიფო რჩევის წევრად დაინიშნება.

სლაიანების დამხმარებელმა საზოგადოებამ ხელის-მოწერის გამართვა განიზრახა პეტერბურღში იმისთვის, რომ აჯანყებული გერცოგოვინელებისა და ბოხნიელების შესაწვეწვეწვლად ფულები მოაგროვოს. ამ განზრახვით საზოგადოება აცხადებს, რომ მართა პეტერბურღში რვა ქაცთან მიიღება ხელის-მოწერაო.

რის შვილი დამარცხებული. შალვა ათაბაგს ქაცს ქაცზე უგზავნიდა ჯარის მოსაშველებლათ; მაგრამ ივანე თავის ჯარით შორიდან უყურებდა. შალვა წაიყვანეს ტყვეთ, იმის ჯარი ამოიხოცა და ეს ივანე ათაბაგს... გაეხარდა.

ამ გვარად იმან იმჯობინა თავის მხეცური სურვილის ასრულება და სამშობლოს დაღუპვა მტრის დამარცხებას და საქართველოს ბედნიერებას.

ივანე არღუთაშვილს იცნობთ, განა? ის ჩვენში ბევრჯელ გინახავთ, ის ჩვენში არ მომკვდარა და არც არის იმედი, ის ჩქარა მოკვდეს. ჩვენ ჩვენი ძველი ღირსებანი დიდხანია მიგვაჩნია უმეტრებათ, აზიურ მძლავრობათ, მხეცობათ; ეს ღირსებანი ჩვენ დიდი ხანია დაევიწყეთ; და ჩვენი წუნები კი გახდნენ უკვდავები და თითქმის ღირსებაებათაც საზოგადოების გუნებაში.

მ. თ.

როდესაც ლაშა ბიორგი შევიდა პასაკში, ივანე ათაბაგი შეუჯდა მას, და რა აძლევდა ხალხში კარგთა დარიგებათა, იგი ჩუმათ აქებდა ჰაბუკს ტახტის მემკვიდრეს ყოველ უგვარო საქმეში და ამ ეშმაკობით შეაკარა თავი თვისი. მრავალნი კეთილნი ნაჭი, რომლითაც ბუნებას გაემდიდრებინა ლაშა ბიორგი, ამოხოცა მის გულიდან მხაკრობითმა რჩევამ ათაბაგისამან და მათ ნაცვლად დაუნერგა მან მრუშ-მეძაობა, ნაყროვნება და ყოველი იგი ავი ქცევა, რომელთაც ემაწვილი ქაცნი უფრო სიამოვნებით მისდევენ, ვიდრე კეთილთ საქმეთა. რა ესმა ერთ გზის მშვენიერება მლისაბედისა, რომელზედაც დანიშნული იყო მლიზბარი, ივანე ათაბაგმა წაიყვანა ლაშა ბიორგი სანადიროთ შარაიზზედ; იქიდან ნადირობის კვალი მიჰქცია იმა სოფლისაკენ, სადაც ეგულებოდა მლიზბარის დანიშნული და მითომ უფერად ასტუმრა ჰაბუკი ბიორგი ქალის მამასა მელის-ციხეს. რა შეამცნია, რომ ნასადილეზედ ბიორგი გახურდა ღვინისაგან, ათაბაგმა წასჩურჩულა ქალის მამასა ყურში, რომ არ იქნება ურიგო აჩვენოს მან ბიორგის ამ მდგომარეობაში მშვენიერი ასული თვისი მლისაბედი, ამ იმედით, რომ იქნება იგი, ბედისა და

ათაბაგის შემწეობით, ოდესმე გახდეს საქართველოს დედოფლად. ამა სიტყვათა და ათვრეს ეს ქაცი; იგი სადილიდან ჩუმათ გაიპარა შინასაკენ, გააკავა ქალი თვისი და წარმოუდგინა ლაშას. ჰაბუკი ბიორგი აღელებული ღვინისაგან აღტაცებული იქნა ქალის სიტუფით და კეკლუტობით: მაშინვე მიიწვია იგი, მოისო გვერდით და მოუმატა ჯიხვებით სმასა ქალის სადღეგრძელოდ.“

ის ამბავი იქნება გაიგოს მლიზბარმა, ფქრობდა ივანე ათაბაგი, და ჰკადროს ლაშა ბიორგის უპატიური სიტყვა და ეს სიტყვა ჩემის ცდილობით მლიზბარს დაჰლუპავს. მართლათაც, ამ შემთხვევამ უსეინდისო ათაბაგს აუსრულა სურვილი. მლიზბარი მივიდა იმ დამეს თავის საცოლესთან და რა ნახა იმასთან ამ დროს ტკბილად მოლაპარაკე ლაშა ბიორგი, დაუწყო ყვედრება იქვე მლისაბედს, რათ მამატყუილე, ავთა ევარო, და შემამითვალე ნუ მოხვადო, უეჭველად აქ ქეფის გწვევა გინდოდაო უჩემოთ! ივანე ათაბაგმა ძალად

გააბრაზა ბიორგიც და მლიზბარიც და შეატაკა ერთმანეთს; მორჩა საქმე იმით, რომ ბიორგიმ და ივანე ათაბაგმა გაგზავნეს მლიზბარი გიქების სახლში და ოცის წლის განმავლობაში იქ ლპებოდა გმირი, ღირსი პირველ ადგილისა საქართველოში. მაგრამ ამით არ მორჩა ივანე არღუთაშვილის ოინები.

მრთს ომში, სადაც მიიღებდა მონაწილეობას მლიზბარის შვილიც, შალვა თავის ჯარით, ათაბაგიც იყო თავის შვილით. იმას შალვას სიმარდე და დედოფალთან დაახლოება შურდა, და ეშინოდა კიდევ არ გადაეპარბოს მე და ჩემ შვილს სიმხნით ან თავის მამის ჩვენგან დაღუპვა არ მოაგონდეს და შური არ გეიგოსო. ამიტომ სცდილობდა დაეღუპა შალვა; და როცა შალვას ჯარს შეეტაკნენ მტრები და დაიწყო იმათში ომი, ივანე ათაბაგი განგებ მას არ მიეშველა, რომ ენახა მლიზბა-

✱ მათი პეტერბურლის გაზეთი გეაცნობებს, რომ იქაური უმაღლესი წოდების ქალების თაოსნობით, ბერცოგოვინელების სასარგებლოდ მასკარადი უნდა გამართონ ერთ კლუბში. ამ მასკარადში ყველანი სლავიანურის ტანსაცმლით უნდა იყვნენ, სლავიანურს სიძღვრებს იმღერებინა და რაც აქედამ ფულები შემოვა, აჯანყებულებს უნდა გაეგზავნათ.

✱ ზოგიერთ პეტერბურლის ვაჭრებს ისეთი კერძო სახლების გამართვა განუზრახავთ პეტერბურლში, სადაც ყველა ღარიბ და უსახლ-კარო კაცს შეუძლია მივიდეს და იფთხოს ღამე გაატაროს მაჭრებს ერთი ახალგაზდა ინჟინერი გაუგზავნათ თავის ხარჯით მეროპას დიდ ქალაქებში, რომ ამისთანა იქაური თავშესაფარი სახლები დახედოს და შემდეგ პეტერბურლში იმისთანა ააშენოს. ამ თავით ოთხ სხვა და სხვა ქალაქის უბანში უნდა ააშენონ თავ-შესაფარი სახლები.

✱ მათს რუსულს სასულიერო ჟურნალში იწერებინან, რომ პეტერბურლის სასულიერო სემინარიაში წელს პირველად შემოიყვანეს გლეხკაცებმა რამდენიმე ყაწვილი სასწავლებლად.

## უცხო ქვეყნები

**გერმანიის არაულობა.**  
შველა ახალ ამბავს ამ არეულობის თაობაზე პესტრიის გაზეთებიდან გტყობულობთ. მათი იმათგანი „(Presse)“ ამჟამად ძლიერ შესანიშნავს ამბავს გეაცნობებენ: რაგუზიდან მოსულია დეპეშა, რომელშიაც სწორენ, რომ, მმართველობის ბრძანებით, ჩერნოგორიის ჯარები სამზღვარზე გადავიდა აჯანყებულების დასახმარებელათაო. თუმცა ამ ამბავს არც თვითონ გაზეთის რედაქცია აძლევს სრულს რწმუნებას; მაგრამ შესანიშნავია, რომ თითქმის ამგვარივე ხმები სხვა გაზეთებშიაც იბეჭდება. „მელნის გაზეთი“ მაგალითად, ამბობს, რომ ჩერნოგორიას ზედ სამზღვარზე 5,000 კაცი ჰყავს მოგროვილი და ამას გარდა 15,000 კაცი დამზადებულია და ბრძანებას მოეღოს, რომ სალაშქროთ წავიდესო. მსვე გაზეთი გვარწმუნებს, რომ სერბიას 80 ათასი კაცი დამზადებული ჰყავს საომრად.

თუ გამართლდა ის ხმა, რომ მეგობრა თავეს მიანებებს მსმალოს, როგორც დარწმუნდება, რომ შუამელობამ ვერ მოარიგა ის აჯანყებულებთან, მაშინ ექვი არ არის, სერბია და ჩერნოგორია ჩაერევიან ამ საქმეში და ამნაირად საერთო შეტაკება მოხდება ბალკანის ნახევარკუნძულზე.

ბელგრადელი კორრესპონდენტი ერთი პარიჟელი გაზეთისა იწერება, რომ აქაური ხალხი ძალიან აღტაცებული არის, რომ ბერცოგოვინის აჯანყებულებს ასე მარჯვეთ მიჰყავთ

საქმეო. შოველი იმათი გამარჯვება ამხნევეს აქაურებს და იმედს აძლევს, რომ მსმალოს მფლობელობის აღსასრულის დღე მალე მიაწევსო. მანსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ყველა სლავიანურ მიწებში, და ბერცოგოვინაში და ბოსნიაში ხომ რაღა თქმა უნდა, უკანასკნელ გამარჯვებას (ღაბრასთან), როდესაც 700 განდგომილს 3,000 თათრის ჯარი დაუმარცხებიათ. ამას გარდა ორ-სამ სხვა ალაგასაც დამარცხებულან თათრები.

**სერბია.** პარლამენტის (სკუპსჩინის) გახსნის დროს სერბიის მთავარმა მილანმა, როგორც პარლამენტული ჩვეულება მოითხოვს, წარმოთქვა სიტყვა, რომელშიაც, ბერცოგოვინის და ბოსნიის თაობაზე, სხვათა შორის, შემდეგი აზრია გამოყვანილი:

„ბერცოგოვინისა და ბოსნიის ხალხი, რომელსაც იმედი დაეკარგა, რომ სხვა ღონის ძიებით გაეუმჯობესებინათ თავიანთი მდგომარეობა, იძულებული იყო თოფ-იარაღისთვის მოეკიდნა ხელი, რომ თავი დაეცვა ბოროტ-მოქმედებისაგან. ამ გარემოებამ ჩვენზედაც იქონია ზედ-მოქმედება: მსმალოს მმართველობა ჩვენს სამზღვარზე აგროვებს ჯარებას. ხალხი გეთხოვს, რომ დასაცვაფი საშუალება ეიხმაროთ. უნდა ველოდეთ, რომ ხონტკრის სიბრძნე და მეროპის მმართველობანი მონახვენ ისეთს საშუალებას, რომ ეს ქვეყნები დაამშვიდობონ და განდგომილების სურვილი აღასრულონ. ამგვარი წყობილობით ჩვენ, როგორც მეზობლები, ყველაზე უფრო მომეტებულს ვზარალობთ. რითაც შემძლება ვეცდები, ისეთ ნაირად მოვაგვარო საქმეები, რომ ბერცოგოვინისა და ბოსნიაში მშვიდობიანობა ჩამოვარდეს.“

**საზრანგეთი.** შიმისოთაც ყოველის მხრით უკმაყოფილება ისმოდა ახლანდელს ბჰიუჭჭეს სამინისტროზე და ახლა, განსაკუთრებით დიუკროს საქმეს შემდეგ, ეს უკმაყოფილება თანდათან გაძრეილდა; ასე რომ ზოგიერთი ფრანკო-რუსული გაზეთები დარწმუნებით ამბობენ, რომ ამ სამინისტროს დიდი ხნის სიცოცხლე აღარა აქვსო. ახლა ისევე გერცოგი ბროჰლი გამოდის ასპარეზზე, რადგან ამბობენ, რომ მაკ-მაჰონი უთუოდ იმას მიანდობს ახალი სამინისტროს შედგენასაო. უთუოდ ეს უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ ამ უკანასკნელ დროს ეს გაიძევა გერცოგი ასე ეფერება ზოგიერთ რესპუბლიკელებს. ამას წინათ სადღაც შეხვდა თურმე ზამბეტას, მსურველ მეგობარსავეთ ჩამოართვა ხელი და ერთი საათი არწმუნებდა, რომ ის ყოველის ღონის-ძიებით ცდილობს და შემდეგშიაც ეცდება, რომ საფრანგეთში რესპუბლიკამ მაგრათ მოიღვას ფესვებიო. ამას ამბობს და გვიქადის ის კაცი, რომელიც თავის მინისტრობის დროს, ერთის მხრით, ყოველს შემთხვევაში სდევნიდა რესპუბლიკურ პარტიას,

გაზეთებს და ჩინოვნიკებს და მეორეს მხრით, ასე აშკარათ უდგებოდა და ხელს უწყობდა ბონაპარტიელებსა!....

**მსპანია.** ახლა კი ნამდვილი უნდა იყოს, რომ კარლისტების აღსასრულის დღემ მოაწია: იმათი ყველაზე საიმედო ჯარი, რომლის სარდალი ღორჩეგარაი იყო, ორ ალაგას დაუმარცხებიათ ისეთ ნაირად, რომ ახლის ბრძოლისათვის დიდხანს ვერ გამოდგებოდა. შევლაზე უფრო ცუდი ღონ-ძარღვისთვის ის არის, რომ ერთად-ერთი პროვინცია ბისკაია, სადაც იმას ყველაზე უფრო მომეტებული მომხრეები ჰყვანდა, აჯანყებულა, ხარჯს აღარ აძლევს და აცხადებს თურმე, რომ ომში აღარ წავალთო.

**სპარსეთი.** თეირანიდან იწერებინან, რომ მთელი სპარსეთი ისეთს საძაგელ მდგომარეობაში არის, რომ თუ მთავრობამ რამე ღონისძიება არ იხმარა, შესაძლებელია, რომ მალე არეულობა მოხდესო. მომეტებული ნაწილი სპარსეთისა დამშეულია, წესიერება და კანონი არსად აღარ ჰსუფევსო, ყველგან დამშეულობა, უსახლ-კარო და ახლანდელ წყობილებაზე გაბრაზებულ ხალხს შეხედებითო. შაჰს შირაზში წასვლა უნდოდა თურმე, მაგრამ ვეზირებმა ურჩიეს, რომ იქ საშინელი შიმშილობა არის, ვინიცობა რამე უბედურება არ მოხდესო და ნუ წახვალთო.

## ქრონიკა

მეორე პერიოდი ქართველთა გრის ცხოვრებისა

### პირველი მუშა შარნავაზი

მერმე შარნავაზმა თავის ორის დის შემწეობით, რომ ვერაინ შეიტყოს, ვირით გამოზიდა მცხეთაში მთელი ხაზინა. ამ ხაზინაში უთვალავი ფულისა და თვალმარგალიტის გარდა, შიგ იყო კიდევ ოქროსი და ვერცხლისაგან ჩამოსხმული ბუთები.

მუჯის ძლიერ გაუხარდა, როცა ეს გაიგო და შემოუთვალა შარნავაზს: „აღდგე და მოვედ ჩემთან და ნუ შურობ ხვასტაგა შენსა, და ხვასტაგებითა შენითა განგიმარაგლენ სპანი შენი, ვიდრე გამოგნდეთ მტერად აზონისა: მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა, აწვევდითა მისგან და შეიწროებულთა, და ვგონებ, რომელ ბერძენთა მათგანნიცა გამოგვერთენ, რამეთუ ურიცხენი აწვევდით არიან მათგანიცა აზონისაგან.“

ამის შემდეგ შარნავაზი დიდის სიხარულით მივიდა იმერეთს მუჯისთან ძველს სენაკში. აქ მოიწვიეს იმათ ოსები, ჩერქეზები და ლეკები და გადასწყვიტეს აზონთან შეხვედრა. შეიკრიბა მთელის იმერეთისა, აფხაზეთისა, ოსებისა და ლეკების ჯარები და მოემზადნენ საომრად.

როცა ასრე საქმე მოაწყო შარნავაზმა, აზონმა მხოლოდ მაშინ შეიტყო. საჩქაროდ ამანაც შეკრიბა 10

ათასი ბერძნის ჯარი და მოემზადა შესაბამელად. მაგრამ შარნავაზი იმას თავს დაესხა მცხეთაში და დაიჭირა ოთხივე ციხეები. მაშინ ბერძნის ჯარიც გადუდგა აზონს და მიემხრო შარნავაზს. აზონი გაიქცა ქლარჯეთში, მსმალეთის საქართველოში და იქ ხელმეორედ შესაბამელად მზადება დაიწყო.

ამის შემდეგ მთელმა საქართველომ მიიღო შარნავაზი ბატონად და იმან დაიწყო საქართველოს საქმეების მოწყობა და გარიგება. რომ მოსპოს ხალხში ყოველი უთანხმოება, აზონის ჯარს, რომელმაც იმისი მხარე დაიჭირა, ის ძმურად მოეპყრო, და რომ უფრო გაიერთგულოს, იმათ ყველას აზნაურობა მისცა, და მერმე შეუდგა ლაშქრის მზადებას. მეორე წელს კიდევ ასტყდა ძლიერი ომი და ორივე მხრით ბევრი ლაშქარი დაიხოცა; მაგრამ ბოლოს მაშინცა ქართველებმა დაამარცხეს აზონი.


შს ომი მოჰხდა მობუღეთში, ესე იგი ახლანდელს მსმალეთის საქართველოში იმ ადგილას, საცა ყოფილა მაჯთა-ქალაქი. აქ ყოფილა დიდი ციხე სახელად სიხისძირი ანუ მაჯთა-ციხე და ამის მოიმიდე ყოფილა აზონი, მაგრამ გაუცრუვდა ფიქრი: ის დამარცხდა. ამ ომის შემდეგ შარნავაზი შევიდა მცირე აზიაში და საქართველოსთან მოსაზღვრე ბერძნის ქალაქები და სოფლები აიკლო და ააოხრა; მერმე შემოიარა ახლანდელი ლივანისა და არდანუქის მხარეები და მოვიდა ისევე მცხეთაში, როგორც მთელი საქართველოს მეფე.

მაგრამ აზონი კიდევ ცოცხალი გაექცა და რადგან შარნავაზმა იცოდა, რომ ის არ მოისვენებდა, ამისათვის ანტილონს გაუგზავნა დიდი საჩუქრები და სთხოვა შემწეობა. იმან მიიღო თხოვნა და დაიბარა აზონი ვითომც იმ განზრახვით, რომ ჰსურს იმას მისცეს მიდიისა და საქართველოს მეფობა. აზონმა ვერ გააგონამდელი განზრახვა ანტილონის, მივიდა და იმან, 316 წლისა 304 შუა, ის მისვლის უმაღლეე, მოჰკლა.

ასრე მოაშორა ანტილონმა საქართველოს აზონი და ჩააბარა შარნავაზს. მერმე 302 წელს ის გაამეფა საქართველოში და გამოუგზავნა სამეფო გვირგვინი და უბრძანა სამხეთის ერისთავებს, რომ შარნავაზისათვის ყოველს შემთხვევაში შემწეობა მიეცათ. შესანიშნავია, როგორც ამბობს ძოღბი თავის თხზულ.

„Исторія человеческой культуры“, რომ ამ დროს სრულებით განთავისუფლდნენ ძაპადოკია, პაფლოღონია, ბითინია და პონტი, რომელიც შემდეგში შეიცავდა საქართველოს ნაწილსაცა.

ასრე ამ სახით და ამ გარემოებებში გამეფდა პირველი მეფე საქართველოსი შარნავაზი და მის გამეფებით მოისპო საქართველოში თავად-აზნაურობითი რესპუბლიკური ნაკეთი მართველობისა, რომელსაც საქართველოს მემატიანე „მამასა-



ხლისობით მართებლობას უწოდებს.

თუმცა „მართლის სხორება“ ამბობს, რომ შარნაფანი 27 წლისა იყო, მაგრამ მე ვგონებ, რომ, თუ შარნაფანის მამა მიტრიდატი მოიკლა 332 წელს ალექსანდრე მაკედონელისაგან და მაშინ შარნაფანი სამის წლისა იყო, მაშ 302 წელს, როცა ის გამეფდა, იქნებოდა 30 წლისა. შარნაფანი გვარად იყო მართლოსიანი; მაგრამ ზოგნი ამბობენ, რომ გამეფების წინა დღისი გვარი ახემენიდი იყო. სახელი კი ქართულად ერქო შარნაფანი, ბერძნულად იპატრატო და სპარსულად არმანი.

ინგილო ჯანაშვილი

### წესდება

თფილისის გამსახეხველ-ხველის ამხანაგობისა

#### IV. სასარგებლოთ შემოტანილი ფული.

27) სასარგებლოთ შემოტანილი ფული მიიღება როგორც ამხანაგობის წევრებისაგან, აგრეთვე გარეშე პირთა და ადგილთაგან, ხოლო ყოველთაგან სამ ზომასზე მომატებული არა ფულის ზომისა, რაც დადგენილია ამ წესდებით (მუხ. 14) და არა ნაკლებ ორის შაურისა.

28) სასარგებლოთ შემოტანილი ფული მიიღება:

ა) მადის დაუნიშნავთ, მხოლოდ იმ პირობით, რომ წინა დაცობონ გამგებლობას ფულის გამოტანის სურვილი იმ ვადებზე, რომელნიც დანიშნულია საზოგადო კრებისაგან (მუხ. 107 პუნ. ბ), და

ბ) მადით, რომელიც საზოგადო კრებისაგან დანიშნულ იქნება (მუხ. 107 პ. ბ.).

29) მადით სასარგებლოთ შემოტანილი ფული (მუხ. 28 პუნ. ბ) უკან არ მოითხოვება იმ ვადაზე ადრე, რა ვადითაც შემოუტანიათ; აგრეთვე ამხანაგობასაც არ შეუძლიან ვადის გასვლამდე შემოტანილს ფულზედ პირობა შესვლას.

30) სასარგებლოთ შემოტანილი ფულებისათვის სარგებლის ზომა არ განისაზღვრება რომლისაზე ზომითა და დანიშნება საზოგადო კრებისაგან (მუხ. 107 პ. გ.) წინათვე ექცის თვისათვის. შეცვლილი ზომა სარგებლისა მაშინათვე დაეკეთება მხო-

ლოთ ახლოთ სასარგებლოთ შემოტანილს ფულს; ხოლო ახალი სარგებელი დაეკეთება იმ სასარგებლოთ შემოტანილს ფულს, რომელიც შემოტანილია მოთხოვნამდე, თუ სარგებლის შეცვლამდე არის მიღებული და ენაც არა უწინარეს ამის გამოცხადებამდ ერთვის თვის გავლისა.

31) სარგებელი სასარგებლოთ შემოტანილის ფულებისა მიეცემა:

ა) საანგარიშო წლის გასულს, და ბ) როდესაც სასარგებლოთ შემოტანილი ფული დაუბრუნდება; ამასთანავე თვეზედ ნაკლები დრო ანგარიშში არ ჩაითვლება.

32) მადით სასარგებლოთ შემოტანილის ფულსა ვადა რომ გაუვა (მუხ. 28 პუნ. ბ), სარგებელი მხოლოდ ვადის დღემდე მიეთვლება.

33) სასარგებლოთ შემოტანილი ფულის სარგებელი თუ არ გაუტანიათ, (მუხ. 28 პ. ა და ბ) იმას სარგებელი არ ეანგარიშება.

34) შოველს წევრს (მუხ. 27), რომელსაც სასარგებლოთ შემოტანია ფული, მიეცემა სახელდობრთვი წიგნი, რომელშიაც ჩაიწერება ყოველივე ამხანაგობასთან აღებ-მიცემა შემოტანილის ფულის შესახებ.

35) სასარგებლოთ შემოტანილი ფული შეუძლიან პატრონს სხვას გარდასცეს, მხოლოდ ამასთან უეჭველად თავისი სურვილი უნდა გამოუცხადოს გამგებლობას. ამ შემთხვევაში პირვანდელი პირობებიც შეუცვლელად დარჩებიან. შოველ-გვარი გადაცემა სასარგებლოთ შემოტანილის ფულის წიგნისა ამ გვარის გამოუცხადებლობისა გამო ნამდვილათ არ ჩაითვლება.

36) სასარგებლოთ შესანახავ ფულის წიგნი თუ დაიკარგა და ეს გამოეცხადა გამგებლობას, მიეცემა ახალი წიგნი იმას, ვის სახელზედაც არის დანიშნული ამხანაგობის დაეთრებში.

#### V. მადის აღება.

37) ამხანაგობას მხოლოდ თავის სამუშაოებელ თანვის გასადიდებლოთ შეუძლიან საჭირო ფული იეალოს, როგორც თავისი წევრებისაგან, ისევე გარეშე პირების და ადგილებისაგან; მაგრამ ეს სესხი უნდა იყოს იმ ზომისა, როდენზედაც ეს წესდებულება ნებას აძლევს (მუხ. 24) და დანიშნულის ვადითა.

38) მადის პირობა და ზომა ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა დადგინებულ იქნას ხოლმე საზოგადო კრებისაგან. (მუხ. 107. პ. კ.)

39. ნასესხ ფულის სარგებლის როდენობა არა ზომით არ განისაზღვრება.

(ზაგარელება)

### ნარევი

ამ თვის თორმეტს შენევაში იქნება წლიური კრება იმ „თავისუფლებისა და მშვიდობიანობის ხალხთა შორის ლიგისა“ (კავშირისა), რომლის მიზანი, როგორც თვით ამ სახელიდამაც სჩანს, ის არის, რომ ხალხებში ომიანობა მოისპოს და თავისუფლება დამყაროს.

\* \*

მის ფრანკთული გავითის კორგენ-პონდენტს უნახავს ამას წინათ ტურინში გამოჩენილი ვენგრიელი პატრიოტი და 1848 წლის რევოლუციონერი — პოშუტი, რომელთანაც სხვა და სხვა საგნებზე ულაპარაკნა. ბერცოვაციის აჯანყების თაობაზე პოშუტს, სხვათა შორის, უთქვამს, ეს სლავიანი ხალხების მოძრაობა აქსტრო-ვენგრიისათვის დამღუპველი გარემოება არისო, და ანდრასჩი სწორეთ ბრმა კაცი უნდა იყოს, თუ შენგრიისთვის ამ მოძრაობიდან რამე ხეირს მოეღისო. პოშუტი გერ კიდევ მარჯვეთ არის თურმე ასე, რომ ბაღი უყიდნა და თავის საკუთარი ხელებით მუშაობს და უფლის თურმე ხეილებსა და წვანისს.

\* \*

სამხრეთ საფრანგეთში რომ ამას წინათ წყალ-დიდობამ დააზინა ხალხი, ამ ხალხის სასარგებლოთ ამ ჟამად საფრანგეთსა და აგრეთვე უცხო ქვეყნებს 22,610,000 ფრანკი მოუფრთხვებიათ.

### განსხვავებული

თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახლოვად)

მრენის მადანზე, ჩიტახვის სახლებში. ავთამყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ.

მ. რ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. ექიმი ტელიაჭუხი — ქალისა და ქმარების ავთამყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი — შინაგანი ავთამყოფობისათვის.

ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. მერმიშვილი და მარკაროვი — შინაგანი ავთამყოფობისათვის.

მ. თ. ხ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. ლისიცივი — შინაგანი ავთამყოფ., მაკოვსკი — ვენერიული ავთამყოფობისათვის.

ხ. თ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. ბარბოვსკი — ხირტოვული ავთამყოფ., ტენდერსკი — ქვეყნისა და ქმარების ავთამყოფობისათვის, მინაგანი ავთამყოფობისათვის.

პ. ა. რ. ა. კ. ე. ვ. ს. ლისიცივი და მარკაროვი — შინაგანი ავთამყოფობისათვის.

შ. ა. ბ. ა. თ. ს. მერმიშვილი — შინაგანი ავთამყოფ. და მაკოვსკი — ვენერიული ავთამყოფობისათვის.

#### გამოვიდა და ისყიდება ქუთაისის გუბერნიის სტამბაში და აეტორის სახლოში „მოკლე ახსნა ლტინის ტაძრისა“ თვისის საზოგადო კუთვნილობაებით და მნიშვნელობაებით, საზოგადო ღეთის მსახურებათა: მწუხრისა, სერობისა, შუა-ღამისა, ცისკრისა, ჟამნების: 1, 3, 6 და 9-სა და წირვისა-ლიტურისა, — შედგენილი ქართულს ენაზე ქუთ. საკათედრო სობორ. მანდელაქს, მღვდლის რაქმან გიგაურის მიერ. ფასი ყველგან ხუთი შაური (25 კობ.) (3—3)

იბეჭდება და მოკლე დროში გამოვა გასასყიდათ ახალი ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი ქმარებისათვის, შედგენილი ანთიმოზ ჯუღელისაგან. (3—3)

ისყიდება ქოველ გვარის ქართული წიგნები თფილისში მათანე ქალაქ და ძიის და ამხან. წიგნის მაღაზიაში; ქუთის ხიდზე, მირზოვეის სახლოში, აბოვიანცის მაღაზიის პირდაპირ. (6—4)

უფ. ივანოვის ბიბლიოთეკაში ისყიდება მეორე გამოცემა ქართულ-ფრანგულ ლექსიკონისა, რომელიც შედგენილია ივ. როტინიანცისაგან. ფასი ერთი აბაზი.

დაიბეჭდა და ისყიდება თამარ სამარტოველოს ბატონის შვილი ისტორიული რომანი

გ. რჩეულთ ვისა.

თფილისში: მელიქიშვილის და მხ. სტამბაში და მწერაჯიანცის წიგნის მაღაზიაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

რ. ბ. შ. ა.	ლილა.		სალა.		II კ.			III კ.			ს. კაპ
	9	36	4	54	68	38	40	123	92	218	
თფილისი	9	36	4	54	68	38	40	123	92	218	
მცხეთა											
ზორი	12	21	8	41	2	40	1	23	3	92	218
ხაშური	2		11	10	4	42	2	46	5	81	323
ბეკათუბანი					7	73	4	29	8	57	476
შვირილი					9	75	5	42			
მუთაისი	8	23									
სამტრედია											
ახ.-სენაკი											
შოთი	11	44									
შოთი	8	40									
ახ.-სენაკი			1	18	66						
სამტრედია			2	6	114						
მუთაისი	11	51									
შვირილი			3	98	221						
ბეკათუბანი			5	33	296						
ხაშური	5	41	1	65	84	3	24				
ზორი	7	23	3	67	36	4	9				
მცხეთა					9	85	4				
თფილისი	10	16	7	24	975	5	42				